

ჩარჩო პროექტი მწვანე ქალაქები (GrCF2 W2) თბილისის ავტობუსები - ფაზა III

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: 52565

ბიზნეს სექტორი: ინფრასტრუქტურა ევრაზია

შეტყობინების ტიპი: სახელმწიფო

გარემოს დაცვის კატეგორია: ბ

მიზნობრივი საბჭოს თარიღი: 2021 წლის 24 ნოემბერი

სტატუსი: გაიარა კონცეპტუალური განხილვა

პროექტის მოკლე ანოტაცია PSD გამოქვეყნებულია: 2019 წლის 28 ივნისს

პროექტის აღწერა

83 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხი საქართველოსთვის, რომლის გადასესხება მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის და მოხმარდება თბილისის სატრანსპორტო კომპანიის („კომპანია“) საჭიროებებს, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალურ კომპანიას და რომლის მართვაშია ავტობუსები, მეტროპოლიტენი და საბაგირო გზები თბილისში. კრედიტის თანხა გაიყოფა ორ ტრანშად: 70 მილიონი ევრო და 13 მილიონი ევრო, შესაბამისად.

პროექტი დააფინანსებს თანამედროვე, 18-მეტრიანი დაბალძირიანი, კომპრესირებულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე („CNG“) ორასი ავტობუსის ახალ პარკს, და ამ ავტობუსებისათვის ახალი დეპოს მშენებლობას.

პროექტის მიზნები

პროექტი ხელს შეუწყობს ქალაქს დაასრულოს ავტობუსების პარკის განახლება და სრულად ჩაანაცვლოს მოძველებული, გარემოს დამაბინძურებელი ავტობუსები თანამედროვე ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებით.

პროექტი მოიტანს მნიშვნელოვან სოციალურ სარგებელს, რადგან ის ხელს შეუწყობს მგზავრებს, განსაკუთრებით იმ პირების, რომელთაც შეზღუდული აქვთ მოძრაობა, მათ შორის მოხუცებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ჰქონდეთ სატრანსპორტო საშუალებაზე გაიოლებული წვდომა. პროექტი გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის საიმედოობას, უსაფრთხოებასა და ეფექტურობას, ხოლო

CNG ტექნოლოგია შეამცირებს მავნე ტოქსიკურ ემისიებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ჰაერის ხარისხზე.

გარდამავალი ეტაპის / გარდაქმნის ეფექტის ზემოქმედება

ETI ქულა: 70

აღნიშნული პროექტი არის მწვანე ქალაქების 2-ის ნაწილი ("GrCF2") და თბილისის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის ("GCAP") შემდგომი ინვესტიცია.

GrCF2- ის ძირითადი მიზანია მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გაუმჯობესება და გარდამავალი ეტაპის „მწვანე ხარისხის“ ხელშეწყობა შესაბამის ქალაქებში. GrCF2 ასევე მიზნად ისახავს საჭირო შესაძლებლობების განვითარებას, და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის უკეთეს კოორდინაციის და თანამშრომლობის ხელშეწყობას, მიზნობრივი ინვესტიციებისა და ინიციატივების მართვის, საექსპლუატაციო ეფექტურობის და ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით. GrCF2- ის ფარგლებში, ბანკი აქცენტს გააკეთებს GCAP- ების შემდგომ განხორციელებაზე, რომლის ქვე-ინვესტიციების არანაკლებ ნახევარი, სავარაუდოდ, შემდგომი ტრანზაქციები იქნება, რომლებიც GCAP- ის მიერ გამოვლენილ კრიტიკულ გარემოსდაცვით გამოწვევებს ეხება.

აღსანიშნავია, რომ თბილისი იყო ერთ-ერთი პირველი ქალაქი, რომელიც შეუერთდა EBRD-ის მწვანე ქალაქებს და ერთ - ერთი პირველი, ვინც შეავსო GCAP-ი. დღეისათვის მისი GCAP- ით განსაზღვრული ქმედებების 71 პროცენტი მინიმუმ „ხორციელდება“, ხოლო დამატებით 17 პროცენტი „მზადდება“. ეს პროექტი ასევე აღნიშნავს თბილისს, როგორც ქალაქს, სადაც ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდება EBRD- ის მწვანე ქალაქების ფარგლებში. გარდამავალი ეტაპის (გარდაქმნის ეფექტის) ზეგავლენა გამომდინარეობს „მწვანე“ და „კარგად მართული“ მახასიათებლებიდან.

პროექტი ხელს შეუწყობს გარდამავალი ეტაპის (გარდაქმნის ეფექტის) მწვანე ხარისხის პოპულარიზაციას ისეთი ავტობუსების დანერგვით, რომლებიც შეამცირებენ ჰაერის დაბინძურებას ადგილზე და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ზეგავლენას გარემოზე, რაც პრიორიტეტად არის გამოცხადებული თბილისის GCAP-ში ("ავტობუსების პარკის განახლება დაბალი / ნულოვანი გამონახობის მქონე ავტობუსებით"). პროექტი ასევე ხელს შეუწყობს გარდამავალი ეტაპის „კარგად მართული“ მიზნის განხორციელებას ინტეგრირებული ტარიფების დანერგვით.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველოს მთავრობა

საქართველოს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტრო, თბილისის მუნიციპალიტეტი და კომპანია.

EBRD-ის დაფინანსება

83,000,000.00 ევრო

83 მილიონი ევროს ოდენობის სესხი საქართველოსთვის. (დაყოფილია ორ ტრანშად)

პროექტის მთლიანი ღირებულება

83,000,000.00 ევრო

ასევე, ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება დახმარება პროექტის მომზადებისა და განხორციელების მხარდასაჭერად.

დამატებითი ღირებულება

პროექტი კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება ქალაქისთვის GCAP-ის განსახორციელებლად და მდგრადი განვითარების სხვა ინიციატივებსა და პროგრამებში ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

EBRD გთავაზობთ დაფინანსებას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ბაზარზე კომერციული წყაროებიდან გონივრული პირობებით, რაც აუცილებელია პროექტის სტრუქტურისთვის. EBRD უზრუნველყოფს ექსპერტიზას, ინოვაციას, ცოდნას და / ან შესაძლებლობებს, რაც მნიშვნელოვანია პროექტის მიზნების დროულად განხორციელებისთვის, კომპანიის შესაძლებლობების გაძლიერების ჩათვლით. EBRD მხარს უჭერს კომპანიას უმაღლესი სტანდარტების მიღწევაში შესყიდვების საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებსა და უფრო მაღალ ეკოლოგიურ სტანდარტებზე დაყრდნობით.

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების მოკლე შეჯამება

კატეგორია B (ESP 2019). EURO VI სტანდარტის დაბალი ემისიის CNG ახალი ავტობუსების შეძენასა და ექსპლუატაციასთან და აგრეთვე ავტობუსების ახალი დეპოს მშენებლობასთან დაკავშირებული ზემოქმედება გარემოსა და სოციალურ ასპექტებზე უმეტესწილად სასარგებლო იქნება. გარემოსა და სოციალურ ასპექტებზე ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედება იქნება სპეციფიკური და მართვადი, კარგი მენეჯმენტის პრაქტიკის გამოყენებით. პროექტი ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ჯგუფების ხელმისაწვდომობისა და მობილობის გაუმჯობესებას, ჰაერის ხარისხის დაცვას ქალაქ თბილისში, ურბანული ტრანსპორტირების უსაფრთხოებასა და ეფექტურობას. გარემოსდაცვითი და სოციალური კომპლექსური შეფასება ("ESDD") განხორციელდა დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ და მოიცავდა ყველა არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემისა და შესრულების ანალიზს, წინა ტრანზაქციების გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის ("ESAP") ქმედებების განხორციელების სტატუსს, ასევე ახალ პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასებას. გარდა ამისა, შეფასება მოიცავდა გარემოსა და სოციალურ ასპექტებზე პროექტთან დაკავშირებული, როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი ზეგავლენის შესახებ ანალიზს, რომლის მიზანი იყო, ავტობუსების შემოთავაზებული სპეციფიკაცია შესაბამისობაში ყოფილიყო ევროკავშირის მოთხოვნებთან, დამოუკიდებელი ტექნიკური შეფასების შედეგების გათვალისწინებით. ბანკი ასევე მხარს უჭერდა კომპანიას მთელი რიგი ტექნიკური თანამშრომლობის პროექტების ("TC") საშუალებით, სახელდობრ: უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვია, საგზაო მოძრაობისა და მართვის უსაფრთხოების მენეჯმენტი, გენდერისა და პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის ტექნიკური თანამშრომლობის პროექტები ("PIU TC"). COVID-19-ზე რეაგირებისათვის, კომპანიამ უპასუხა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, აგრეთვე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ("OHS") რისკებს მთავრობის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, ინფექციური დაავადებების მართვის გეგმის (COVID მართვის გეგმა) საშუალებით და მძღოლებს მიეცათ დავალება დაიცვან შესაბამისი პროცედურები. კომპლექსური შეფასებით დადგინდა, რომ გარემოს

დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და აგრეთვე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის არსებული პრაქტიკა შესაბამისობაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან. თბილისის სატრანსპორტო კომპანია განაგრძობს წინა გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის ("ESAP") თანახმად ბანკთან შეთანხმებული ქმედებების განხორციელებას. წინა პროექტებისთვის ჩატარდა გენდერული შეფასება, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი ("TC"), რომელიც მიზნად ისახავდა ავტობუსის მძღოლი ქალების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და ტრენინგს. პროექტის გენდერული კომპონენტის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ("TC") ხელმოწერის შემდეგ, ბანკი კლიენტს დაეხმარება გენდერული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. გარემოსდაცვითი და სოციალურმა კომპლექსურმა შეფასებამ ("ESDD") დაადგინა ახალ პროექტთან დაკავშირებული პოტენციური ხარვეზები, რომლებიც მოიცავს, inter alia, ავტობუსების დეპოს ობიექტის ადგილზე ისტორიულ დაბინძურებას ბიოლოგიური და სხვა სახის ნარჩენებით, ზემოქმედებას საზოგადოებაზე, ჰაერის დაბინძურებას და დამატებითი გარემოსდაცვითი გამოკვლევებისა და ნებართვების საჭიროებას. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა ("ESAP") განახლდა და მოიცავს შრომითი უსაფრთხოების პრაქტიკის, საგზაო მოძრაობისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, ნარჩენების მართვის, მარეგულირებელ ნებართვებთან შესაბამისობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საკითხებს. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა ("ESAP") სრულად არის შეთანხმებული კლიენტთან. ბანკი გააკონტროლებს კომპანიის საქმიანობას ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ("E&S") მონიტორინგის ანგარიშების საშუალებით.

ტექნიკური თანამშრომლობა

აღნიშნული პროექტი მოიცავს შემდეგი სახის ტექნიკური თანამშრომლობის ("TC") დავალებებს:

TC1: ტექნიკური დავალება. დავალების ღირებულებაა 75,000 ევრო, დაფინანსებულია EBRD- ის აქციონერთა სპეციალური ფონდის ("SSF") მიერ.

TC2: ტრანშის შესყიდვების წინასწარი ხელმოწერა 1. დავალების ღირებულება 35,000 ევროა, რომელიც დაფინანსებულია SSF- ის მიერ.

TC3: პროექტის ეკოლოგიური და სოციალური დაცვა. დავალების ღირებულებაა 33,000 ევრო, რომელიც დაფინანსებულია SSF- ის მიერ.

TC4: პროექტის განხორციელების მხარდაჭერა მე-2 ტრანშისთვის. ამ დავალების სავარაუდო ღირებულება 450 000 ევროს შეადგენს, რომელსაც საერთაშორისო დონორი ან SSF დააფინანსებს.

TC5: ინტეგრირებული ტარიფების დანერგვა და საჯარო მომსახურების ხელშეკრულების განახლება. ამ დავალების სავარაუდო ღირებულება 250 000 ევროს შეადგენს, რომელსაც საერთაშორისო დონორი ან SSF დააფინანსებს.

TC6: ელექტროძრავის მქონე სატრანსპორტო საშუალების ("EV") დატენვის პოლიტიკისა და ქსელის შესწავლა. ამ დავალების სავარაუდო ღირებულება 75,000 ევროს შეადგენს, რომელსაც საერთაშორისო დონორი ან SSF დააფინანსებს.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

თამარ მაჭავარიანი

tmachavariani@metro.ge

+995322357777

<http://ttc.com.ge/>

თბილისის სატრანსპორტო კომპანია

სადგურის ქუჩა N2

თბილისი 0112

საქართველო

გარდამავალი ეტაპი / გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდამავალი ეტაპის გარდაქმნის ეფექტის მახასიათებლებთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია [აქ](#).

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ [EBRD Procurement](#)-ს:

ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით](#).

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

[ESP](#)-ით და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP-ი და PR-ი მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ; ასევე შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან

საკითხების წამოჭრის, საჩივრების მიღების და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვასა და სოციალური საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია [ESP](#)-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში, ტარდება კომპლექსური საიმედოობის კვლევა, რომლის მიზანიც პროექტების განხორციელებისას პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკის თავიდან აცილებაა. ბანკი თვლის, რომ პროექტის შეფასების ეტაპზე, პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწვევტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიების პროცესზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ინდივიდმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე: compliance@ebrd.com. [თითოეული საკითხის შემთხვევაში](#) OCCO-ი დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ [ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს](#).

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით](#).

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს.

IPAM-ი დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში [გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკასა](#) და [ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის](#) კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, რათა გაარკვიოთ, თუ როგორ უნდა შეიტანოთ განსახილველი მოთხოვნა [კონფიდენციალური ონლაინ ფორმის](#) საშუალებით, [ელ.ფოსტით \(email\)](#), [ფოსტით ან ტელეფონით](#). IPAM-ი მზად არის განიხილოს მოთხოვნების შეტანასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები და პასუხის გასცეს ნებისმიერ კითხვას, [პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკასა](#) და [სახელმძღვანელოსთან](#) შესაბამისობაში. მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლოა, განმცხადებელთა იდენტობების კონფიდენციალურობის დაცვა.